





მაკრუდ დოჟულათიაბადი  
პოლკოვნიკის  
მიმწუხრი

მაჰმუდ დოულათაბადი  
კოლკონიკის მიმწეობი

Mahmud Doulatabadi  
COLONEL

სპარსულიდან თარგმნა თეა შურლიამ

ქართლი  
ნიგის  
აქოვალ  
სანი



საქართველოს კოლონიკის  
და კოლონიკის  
სამინისტრო

ნიგნი გამოიცა ქართული ნიგნის ეროვნული  
ცენტრის და საქართველოს კულტურისა და  
ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.

Original Farsi title: COLONEL

© by Mahmud Doulatabadi 2009

First published in German translation under the title DER COLONEL  
by Unionsverlag Zürich, 2009.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2016

ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-537-0

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

## მთარგმნელის წინათქმა

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის გამორჩეული ირანელი პროზაიკოსის მაჰმუდ დოულათაბადის (1940) გახმაურებული რომანი „პოლკოვნიკის მიმწუხრი“ ჯერჯერობით ორიგინალის ენაზე არ გამოქვეყნებულა. მიუხედავად ამისა, 2009 წლიდან მოყოლებული, წიგნი რამდენიმე ენაზე ითარგმნა და გამოიცა შვეიცარიაში, დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, საფრანგეთში, ისრაელში. 2009-2013 წლებში რომანი რამდენიმე პრესტიჟული საერთაშორისო პრემიის ნომინანტი და ლაურეატი გახდა.

რატომ არ მოსწონს ირანულ ცენზურას „პოლკოვნიკის მიმწუხრი“? ამ კითხვაზე ყველაზე მკაფიო პასუხად შეიძლება ჩაითვალოს ირანის გავლენიანი სტრუქტურის „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის“ ხელმძღვანელის მოადგილის ჰამიდ-რეზა მოყადამფარის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმადაც, „პოლკოვნიკის მიმწუხრი“ არის „ყველაზე უფრო კონტრრევოლუციური რომანი, რაც კი ისლამური რევოლუციის შემდეგ დაწერილა“. როგორც ჩანს, ნაწარმოების მკაფიოდ გამოხატულმა ეროვნულმა სულისკვეთებამ, ირანულმა და არა რელიგიურმა პატრიოტიზმმა გადაწყვიტა რომანის ბედი და ხელისუფლების მიერ გამოტანილი განაჩენი.

მაჰმუდ დოულათაბადი, რომელმაც ამ რომანის წერას ათი წელი მოანდომა, დღეს იმდენად წონიანი მწერალია, რომ შეუძლია, თავს ნება მისცეს და არ დაეთანხმოს ოფიციალურ ცენზურას. მან, მეოცე საუკუნის 50-70-იანი წლების გამოჩენილ ირანელ მწერალთა და ინტელექტუალთა უმეტესობის მსგავსად, შაჰის საპატიმროს სიმძიმე საკუთარ თავზე გამოსცადა, მაგრამ ემიგრაციაში არ წასუ-

ლა, დღესაც ცხოვრობს და მოღვაწეობს ირანში და თანამემამულეთა უსაზღვრო პატივისცემით სარგებლობს. 2014 წელს ირანში მაჰმუდ დოულათაბადის სამახსოვრო საფოსტო მარკა გამოიცა, რაც ამ ქვეყნის პარადოქსული რეალობის კიდევ ერთი დასტურია.

„პოლკოვნიკის მიმწეხრი“ ირანის უახლესი ისტორიის, მისი ბოლო ასწლეულის მხატვრული გააზრებაა. ნაწარმოებში მოქმედება ირან-ერაყის (1980-1988) ომის დროს, ერთი ლამის მანძილზე ვითარდება, მაგრამ მოვლენები, რომელთა გამოძახილსაც აქ ვხვდებით, უფრო ხანგრძლივ პერიოდს ეხება. მოქმედების ადგილი დაკონკრეტებული არ არის, თუმცა ასეთად ირანის ჩრდილოეთის პროვინციული ქალაქი უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც ფრონტის ხაზისგან შედარებით მოშორებულია.

ნაწარმოებში სხვადასხვა სახე-სიმბოლოსა და არაერთი ისტორიული მოვლენის ალუზიას ვხვდებით. მთავარი სიმბოლო, პროტაგონისტის იდეალი მოჰამად-თაყი ხან ფესიანია – ირანის ეროვნული გმირი ევროპული სამხედრო განათლებით, რის გამოც ირანელები მას ევროპულად „ქოლონელს“ (პოლკოვნიკი) უწოდებდნენ. მათ თვალში ფესიანი პატრიოტის, პროფესიონალის, უცხოური კაბალის წინააღმდეგ მებრძოლი მამაცი და პატიოსანი ადამიანის პიროვნულ თვისებებს აერთიანებს. დოულათაბადის რომანში პროტაგონისტიც – შაჰის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი და ისტორიული პირიც – ფესიანი ერთი და იმავე სახელით – „პოლკოვნიკი“ – მოიხსენებიან. მკითხველისთვის საქმის გასაიოლებლად, ქართულ თარგმანში იქ, სადაც მოჰამად-თაყი ხან ფესიანი იგულისხმება, „პოლკოვნიკი“ მთავრული შრიფტით არის დაბეჭდილი. ამავე მიზნით – მკითხველისთვის კომფორტის შესაქმნელად – ყველა თარიღი, რომელიც რომანში ირანული კალენდრით არის მოცემული, ქართულ თარგმანში ევროპული თარიღით ჩანაცვლდა.

რომანის სათაური ყველა ევროპულ ენაზე „პოლკოვნიკია“, თუმცა დედანში მას „პოლკოვნიკის მიმწეხრი“ ჰქვია. ევროპელი მთარგმნელებისგან განსხვავებით, ავტორისეული სათაურის სრუ-

ლად გადმოტანა ვამჯობინე, მიუხედავად იმისა, რომ „პოლკოვნიკის მიმწეხრი“ ძალაუნებურად ინვესტს მარკესის „პატრიარქის შემოდგომის“ შორეულ ასოციაციას.

ქართველი მკითხველი ნაკლებად იცნობს ამ ირანელი მწერლის შემოქმედებას. ქართულ ენაზე თარგმნილია მაჰმუდ დოულათაბადის მხოლოდ ერთი ნოველა „სარკე“ (2009, მთარგმ. მზია ბურჯანაძე) და ნაწყვეტი რომანიდან „შობეირუსთან“ (2011, მთარგმ. ლილი ჟორჟოლიანი).

დასასრულ, გამოვხატავ გულწრფელ მადლიერებას ჩემი მეგობრებისა და კოლეგების მიმართ, რომლებიც მუშაობის პროცესში რჩევებითა თუ შენიშვნებით მეხმარებოდნენ. განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის მზია ბურჯანაძეს – ამ თარგმანის ხელნაწერის პირველ მკითხველს.

თეა შურღაია





პოლკოვნიკის  
მიმწეხრი



*„ჯერ სიგარეტი უნდა ჩავაქრო...“*

ამ ღამეს უკვე მეოცე სიგარეტს აქრობდა. ცოტაც და, დაიხრჩობოდა; იმდენი სიგარეტი მოენია, პირში გემოს ველარ გრძნობდა. *„ერთი შეხედე ფანჯრის დაბზარულ მინას, ოფლით როგორ დაცვარულა... რა სიჩუმეა!“*

ჭიშკარზე ყოველი დაკაკუნება სიჩუმესა და წვიმის რიტმს ამსხვრევდა. იყო მხოლოდ წვიმა და წვიმის რაკარუკი ძველ, ჟანგმოდებულ სახურავზე, მარადი ერთფეროვნების გამო თავადაც რომ სიჩუმის ნაწილად ქცეულიყო. *„როგორც მახსოვს, ცხოვრებაში ერთადერთხელ მინახავს მზის ჩასვლა სახურავებზე“...*

მწუხრისას, ნანვიმარზე, მზის ჩასვლამდე წამით ადრე, ზაფრანისფერი სახურავები სევდიანად ლამაზი იქნებოდა; იმ დროს საფეთქლებზე თმა ახლად შევერცხლოდა; მაშინ ალბათ ჯერ კიდევ მყარად დააბიჯებდა, წელში გამართული, ფეხქვეშ მინას გრძნობდა; არ დაჩიავებულიყო, სახე არ მოჭმუჭვნოდა, გაოცებისა და ელდის ნაოჭებს მის შუბლზე ჯერ ხნულები არ გაეველოთ: *„და მიინც, ბატონებო, ჯერ სიგარეტს ჩავაქრობ, მერე ავდგები, სანვიმარს მოვისხამ და კართან მოვალ. აკაკუნეთ, აკაკუნეთ. ვინც არ უნდა იყოს! წლებია, კარგი ამბავი არ მსმენია და ახლაც, ამ ღამით, უდროოდ დროს, კარგს არაფერს ველი. მოიცა ერთი, დავხედო ამ ძველ საათს; თუ არ ჩამორჩენილა ან წინ არ გარბის, ღამის ოთ-*

ხის ნახევარი უნდა იყოს. ერთი შეხედვე ფანჯრის დაბზარულ მი-  
ნას, ოფლით როგორ დაცვარულა... აბრაახუნე, აბრაახუნე, ძვირ-  
ფასო. იმდენი აბრაახუნე, რომ მკვდრებიც გამოალვიძო. მაგრამ,  
სანამ სანვიმარს არ მოვისხამ და ფეხსაცმელს არ ჩავიცვამ, აივ-  
ნიდან ეზოში ფეხს არ ჩავდგამ. კიდევ კარგი, თვითონაც ხედავ,  
როგორ კოკისპირულად ნვიმს... ჰო, მართლა! აივანზე შუქი უნ-  
და ავანთო და მერე დავეშვა კიბეზე. ამ სიბნელეში, გინდა, ფეხი  
დამიცურდეს, დავეცე და მხარი ამოვიგდო?... მოვდივარ. ოლონდ,  
ღმერთმა ქნას, ამირს სარდაფში შუქი არ ენთოს. ვეცდები, არ  
დავიბნე. როდესაც კარს გავაღებ, გაცემა და ლელვა არ უნდა  
შემეტყოს. მესმის, იმდენი მაინც მესმის, რომ ქუთუთოები და ნი-  
კაპი არ უნდა მიცახცახებდეს, არავითარ შემთხვევაში! მაგრამ  
ეს წყეული მარცხენა ქუთუთო რომ არ მემორჩილება? – რო-  
გორც კი რამეზე ჩავფიქრდები, თავისთავად იწყებს პარპალს...  
მხოლოდ ეს წყეული მარცხენა ქუთუთო..."

– დიახ, ბატონო... დიახ... მოვდივარ... ცოტა მოთმინება...

იმის კითხვას რალა უნდოდა, ვინა ხარ და ამ უდროო დროს  
კარზე რას მომდგომიხარო? არა, არ გეგონოთ, ამ კითხვის დასას-  
მელად გამბედაობა არ ეყოფოდა! სულაც არა. ასეთი რამ არ ნა-  
მოსცდებოდა, რადგან დარწმუნებული გახლდათ, ამით არსებითად  
არაფერი შეიცვლებოდა. გამოცდილებით იცოდა: თუკი, განგების  
ძალით, რომელიმე სახლის კარი ღამით დაკეტილი უნდა იყოს, არა-  
ვინ მას ასეთ ბრაგაბრუგს არ აუტეხს.

„სხვა რა გზა მაქვს, ძალა უნდა მოვიკრიბო. ცხადია, სულაც  
არ ვაპირებ, იმაზე ვიფიქრო, დღე-ღამეში რამდენი სიგარეტი  
მოვნიე და მერე, უცებ, გაუაზრებელი, სრულიად არარეალური  
გადაწყვეტილება მივიღო. მაგრამ კარის გაღებისას ნერვების  
მოთოკვა რომ შეეძლო და ქოშინი შიშით გამონვეულ ლელვად არ  
ჩამითვალონ, სხვა არა დამრჩენია რა – ძალა უნდა მოვიკრიბო,  
მერე კი მშვიდად გავალო კარი“.

– ბატონო პოლკოვნიკო!

– დიახ... ბატონო.

- თქვენა ხართ? ბატონო პოლკოვნიკო!
- დიახ, ბატონო. სხვას ვის ელოდით?
- მაშ, კარს რატომ არ ალებთ?

- ახლავე, ახლავე გავალებ. გასალებს ვეძებ და... აი, ისიც, ვიპოვე! თუმცა არა, ეს ხომ სკივრის გასალებია, უნდა წავიდე და გასალები... ჭიშკრის გასალები მოვიტანო. მაპატიეთ, სულ ერთი წამი...

„სად უნდა დამედო – თაროზე თუ მაგიდაზე? მე ხომ გასალებს სულ ჯიბით დავატარებ, იმიტომ რომ... რა იცი, რა ხდება? ხო, სალამო ხანს შინ დაბრუნების მერე გარეთ აღარ გავსულვარ, სველი ტანსაცმლის გამოცვლა რომ დამჭირვებოდა. იქნება გასალები ბუხრის თავზე შემოვდე, პოლკოვნიკის ფოტოს ქვემოთ, კრიალოსანთან და გაფუჭებულ გერმანულ სანთებელასთან ერთად. ჰო, ასეა...“

იქ იყო. პოლკოვნიკის შავი, ბზინვარე ჩექმების ქვემოთ, მოჰამად-თაყის 6X4 ფოტოსთან, რომელიც მართვის მონმობისთვის გადაიღო; უკვე ორი, „შეიძლება, სამ წელზე“ მეტი იქნებოდა, რაც ამ ფოტოს იქვე, სწორედ პოლკოვნიკის შავ, ბზინვარე ჩექმებთან მიუჩინა ადგილი, რათა საკუთარი შვილის ყურებას შესჩვეოდა. „ჰო, მინდა, ჩემი შვილების დანახვას შევეჩვიო“. სინამდვილეში ეს გადანყვეტილება თავდაცვის ინსტინქტით იყო ნაკარნახევი. ვაჟიშვილის ფოტოს თვალწინ მოთავსებით პოლკოვნიკს სურდა, რაღაცას დაპირისპირებოდა. სურდა, წინ აღდგომოდა იმ რაღაცით გამოწვეულ ელდას, რაც მის გულის სიღრმეში ზვირთებოდა და გონებაზე იერიში მიჰქონდა; რადგან სწამდა: სანამ მოჰამად-თაყის ფოტო თვალწინ ექნებოდა, წამითაც არ დაავიწყდებოდა თავისი ბიჭი, მისი ხსოვნის პირისპირ აღმოჩენა არ დააბნევდა. ფაქტობრივად, მოჰამად-თაყის ფოტოს მუდმივი ყურებით, საკუთარ თავს ერთთავად იმ განცდათა იერიშის წინაშე აყენებდა, მისი იავარყოფა რომ ენადა. ასე ჰქცეოდა წესად პოლკოვნიკს დაპირისპირება იმასთან, რისი მორჩილებაც არ სურდა. ეს სამხედრო მანევრს – „ბრძოლაში ჩაბმა და წინააღმდეგობა“ – ჰგავდა ან „თავად ომს. ომში ხომ

მოულოდნელი დარტყმა გაჭრის და წელში გატეხს მტერს. მხოლოდ წინასწარი მზაობითაა, დარტყმას რომ იგერიებ და ანეიტრალებ“. ამავე მოტივით, პოლკოვნიკის დიდი, მთელი ტანით გადაღებული, ფოტო ნახევარ საუკუნეზე მეტი თვალწინ ჰქონდა და ნატრობდა – დაუოკებელი სურვილი ჰქონდა – ნეტავ, შესძლებოდა მეუღლის ფოტოც თვალწინ – პოლკოვნიკის ხმლის წვეროთან, ჩარჩოს მარცხენა კუთხეში დაედო და მისთვის თვალი გაესწორებინა. „მაგრამ... ვერ შევძელი. არც ახლა შემძლია“. არადა, რა მალე შეძლო ფარვანეს ფოტოს პოლკოვნიკის ჩექმების ძირას დადება! ფარვანეს დაკარგვიდან ზუსტად სამი დღე-ღამე იყო გასული, მისი ფოტო პოლკოვნიკის მარჯვნივ, მოჰამად-თაყის ფოტოს რომ მიუდო. უკვე ორი თვეა, ცდილობდა, უმცროსი ქალიშვილის ფოტოს დანახვას შესჩვეოდა. ასევე, მასუდის ფოტოსას – მასუდისა, რომელსაც შინაურები „ქუჩაქს“ ეძახდნენ. „ჰო, ქუჩაქს... იქნებ იმიტომ, რომ ძალიან შავი, ხშირი წარბები და დაბალი შუბლი ჰქონდა, ბავშვებმა მეტსახელად „ქუჩაქე ჯანგალი“ შეარქვეს!“<sup>1</sup>

– მოვძებნე გასაღები. ეს წუთია, ვიპოვე. ამწუთას გაგიღებთ კარს. ახლავე. მობრძანდით. სალამო მშვიდობის.

ქუჩის კუთხეში დადგმული ჰეჯლეს<sup>2</sup> თეთრი განათება პოლკოვნიკის სახეს მთვარის შუქივით ეცემოდა, ხაკისფერ ქურთუკებში გამოხვეულ მხრებს კი ზურგსუკნიდან ხვდებოდა. შუქი წვიმის წვეთებს ერთვოდა და მათ მხრებს, ქუდის კიდესა და პროფილს თეთრ ნისლად ეფინებოდა. ამ შუქზე პოლკოვნიკმა დაინახა, რომ ორივენი ახალგაზრდები იყვნენ, ორივეს მხარზე იარაღი გადაეკიდა და ორივეს... ამიტომაც ვერ გაიგონა პოლკოვნიკმა საკუთარი ხმით ნათქვამი „სალამო მშვიდობისა“, ანგარიშმიუცემლად მიესალმა მათ და მორჩილად დაელოდა, ორ ჭაბუკს ეთქვა თავისი სათ-

<sup>1</sup> ქუჩაქ (სპარ.) – პატარა; ჯანგალი (სპარ.) – ტყიური. ირანის ეროვნული გმირის, ე. წ. „ტყის მოძრაობის“ მეთაურის – მირზა ქუჩაქ ხანის (1880-1921) ალუზიაა.

<sup>2</sup> ჰეჯლე (არაბ.-სპარ.) – გუმბათის მსგავსი, სვეტიცხიანი მომრგვალო კონსტრუქცია, რომელიც სარკვევითა და ნათურებით ირთვება და გლოვის ნიშნად გარდაცვლილი ახალგაზრდის სახლთან ან მის უბანში იდგმება.

ქმელი – რაც უნდა ყოფილიყო – და მიელო გადანყვეტილება – რა გადანყვეტილებაც უნდა ყოფილიყო.

დიდად არ დაუხანებიათ. ერთ-ერთმა ქურთუკის განიერი ჯიბიდან ფარანი ამოიღო. მიუხედავად იმისა, რომ ჰეჯლეს შუქის ათინათი პოლკოვნიკს სახეს უნათებდა, მას ფარნის მკვეთრი ნაკადი მიაბჯინა, მერე წვიმიან ეზოს მოავლო და, სანამ შუქი აუზის წყლის ზედაპირს გააცისკროვნებდა, სინათლის თვალისმომჭრელი ჭავლი თავისკენ მისწია და ზედ პოლკოვნიკის სველ ფეხსაცმელზე ჩააქრო; იქნებ დაელოდა, რას გადანყვეტდა და მოიმოქმედებდა მისი თანმხლები.

პოლკოვნიკი ერთიანად კითხვად ქცეულიყო. იდგა წვიმის ქვეშ მხრებამოყრილი, უძლურებისგან წელში მოხრილი, უძრავი და შიშნეული მზერით – გაუნაფავი ხელით გამოყვანილ კითხვის ნიშანს დამსგავსებოდა. მაგრამ კითხვა არ დასცდენია. მის ენას აღარც ერთი სიტყვის გამოთქმა არ ძალუძდა. თუნდაც შეპატიჟება, შეპატიჟებაც კი – ეს მამაპაპური წესი და ადათი, პირწმინდად დავინყებოდა. მხოლოდ უცქერდა, იმ ორ ჭაბუკს უცქერდა, ჯერაც რომ ჭიშკარს მიღმა იდგა და ჰეჯლეს შუქზე, სიჩუმესა და წვიმიან ბინდბუნდში გაურკვეველ წერტილს აკვირდებოდა.

დაე, მათ, რომელ ბუნდოვან თუ გარკვეულ საკითხზეც უნდათ, იმაზე იფიქრონ, მაგრამ პოლკოვნიკის გონება, თუ არ ჩავთვლით შიშს, რომელიც მისი არსების ნიაღში უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა, მთლიანად ერთმა აზრმა მოიცვა: ეს ორი ბიჭი მოჰამად-თაყისა და ქურჩაქის ხნისა იქნებოდა. მოჰამად-თაყი ცოცხალი რომ ყოფილიყო, მარტში – ათას ცხრაას ოთხმოცდასამი წლის 3 მარტს – ოცდაერთისა შესრულდებოდა. მასუდი კი – თუკი ცოცხალია – ახლა, ასე, ოცდაექვსი წლისა იქნება.

*„მაგრამ რა უნდა მექნა? მე რა უნდა მექნა?.. ვერაფერს გავანყობდი, მე აღარაფერი მეკითხებოდა. ბავშვები უკვე მონიფულეები იყვნენ. თითოეული თავს კაცად თვლიდა და მე რატომ დამიჯერებდა? ესეც რომ არა, განა შემედლო მებრძანებინა, სისხლი ნუ გიდულთ-მეთქი? რევოლუცია იყო, ბატონებო, რევოლუცია!..“*

რევოლუციაში კი ყველა – ახალგაზრდების გარდა – თავისთვის ხეირს ეძიებს. ახალგაზრდობა... ახალგაზრდობა... ახალგაზრდებზე ვერ იტყვი, ხეირს ეძებენო. ყველა ახალგაზრდა რევოლუციაში საკუთარ სიმართლეს ეძიებს, საკუთარი არსებობის გამართლებას. ამასთან, ახალგაზრდისა და ახალგაზრდობისთვის რევოლუცია უმაღლესი მგზნებარებაა. მგზნებარების მწვერვალზე მყოფი ჭაბუკი იმ მტრედს ემსგავსება, მზისკენ რომ მიილტვის და მანამ იფრენს, სანამ არ დაიფერფლება – სწორედ ეს არის ახალგაზრდული სიმართლის მწვერვალი! აი, ასე თუ ამიტომ მოხდა, რომ რევოლუციამ ჩემი შვილები თან გაიყოლა. ახლა წარმოადგენაც არ მაქვს, თითოეული მათგანი აღმაფრენის რომელ ნერტილში დაინვა ან იწვის. ვაი... ვაი იმ მეზობლებს, იმ თანამოქალაქეებს, იმ თანამემამულეებს, რომელთა აღმოდებული შვილები, ფერფლად ქცევის ზღვართან მისულნი, შუაგზიდან უკან გაბრუნდებიან და საკუთარ სიმართლეს ცდუნებებში... ცდუნებებსა და სხვა იდეალებში აღმოაჩენენ. აი, მაშინ იქნება, რომ ეს გამლღვარი ნაფლეთები... ეს მდნარი ნაფლეთები... ლავის ეს ნიაღვარი...”

– ჩემო ბიჭებო... ჩემო შვილებო!.. ოთახში შემობრძანდით, წვიმაში ხომ არ იდგებით?

სხვა რა ეთქვა? პირადობის მოწმობა რომც არ ეჩვენებინათ, მათ შემოსვლას მაინც ვერ დაუშლიდა. ვერ დაუშლიდა, რადგან „მართალი ვთქვა, მეშინია. დიდი ხანია, მეშინია.“ შეეძლო, ჭიშკარი არც ჩაერაზა – მოსახდენი მაინც მოხდებოდა – ღია კარში თუ დაკეტილში. თუმცა ჭიშკრის ჩაკეტვა პოლკოვნიკს რჯულზე უმტკიცეს ჩვევად ჰქცეოდა. შეგნებულად როდი იქცეოდა ასე – თავდაცის ან უსაფრთხოების მიზნით... არა, ეს მხოლოდ ჩვევა იყო, შიშით ნაკარნახევი. „მეშინია, ბატონებო. მეშინია. არ ვიცი, რისი, რა ძალისა მეშინია. ის კი ვიცი, რომ ადამიანი ტანსაცმლის მიღმა სხვა რალაცას წარმოადგენს. ვინაიდან ჩემს გონებას საკუთარი „მე“ ხშირად ყოველგვარი შესამოსელის, სალამ-ქალამისა და ცერემონიულობისგან განძარცული წარმოდგენია, სხვა ადამიანების დანახვა ძრწოლას მგვრის – ველური კამეჩე-



ბის ნახირს მაგონებს – ასეთი ნახირი ოდესღაც ფილმში მექნება ნანახი; თვალებს ვხუჭავ. უფრო სწორად, თვალები შიშით თავისით მებუჭება, რადგან ვგრძნობ, რომ ჩემკენ ადამიანთა საზარელი ხროვა მოემართება შუბლზე უცნაური რქებით – ისეთი, ფილმში რომ მინახავს; მოემართება, რათა წალეკოს ყველაფერი, მათ შორის, მეც – დამლენოს ეს ძვლების გროვა. კოშმარია, ბატონებო, კოშმარი...”

– რატომ არ შემობრძანდებით და არ დაბრძანდებით, შვილებო, მობრძანდით... მართალია, ამ პოლონურ სკამებს სამაგრები მოერყა და ადამიანის სხეულის ქვეშ გამხმარი პურივით ხრამახრუში გააქვს, მაგრამ, როგორც ძველად იცოდნენ, სტუმარს – ვინც უნდა იყოს – შინ რაც მოექვევბათ, იმით გაუმასპინძლდებიანო. ერთი სიტყვით, მობრძანდით, დაბრძანდით...

„ანი კი უნდა დასხდნენ, არა?... ჰო, სხდებიან... ჰო, პირსახოცი...”

პირსახოცი უნდა აეღო და თეთრი, ნაწვიმარი თმა გაემშრალებინა, კისერზე, შუბლსა და წარბებზე სისველე შეემრო, მაგრამ გვიანლა იყო. გვიანლა გაახსენდა. სიგარეტისთვის მოკიდება და, ბუხრისკენ ზურგმექცევით, მუქ ყავისფერ პოლონურ სკამზე დაჯდომა რომ მოახერხა, უკვე ამითაც კმაყოფილი იყო, შვებასაც კი გრძნობდა, თუმცა ხელის უსაშველო ცახცახის შესაჩერებლად მარჯვენა ხელის მაჯა მარცხენათი უნდა დაეჭირა. ამ ხელზე უარესი ორ თითს შორის მოქცეული სიგარეტი იყო, რომელიც შესამჩნევად და განუწყვეტლივ კრთოდა. „ჩვენი ქალაქი რაიონული ცენტრი არ არის. ესე იგი, ისე ვერ გაიზრდებოდა, რომ მისმა მცხოვრებლებმა ერთმანეთი ვერ იცნონ. ჰოდა, თუკი გონებას ოდნავ დავძაბავ და ნერვებსაც მოვთოკავ, დარწმუნებული ვარ, ჩემი სტუმრების ამოცნობას მოვახერხებ, მათი მშობლების ნაკვეთების მიხედვით მაინც. აქაური არ ვარ, მაგრამ კარგა ხანია, აქ ვცხოვრობ – იმდენი ხანი, რომ ჩემი ფარვანი ამ ქალაქში დაიბადა. მაშინ ჩემი უფროსი ვაჟი, ამირი, მხოლოდ თხუთმეტისა იყო, შუათანა ბიჭები კი ისეთი პატარები იყვნენ, რომ მალევე ადგილობრივ კილოზე ამეტყველდნენ. და, თუ გონებაც შემენევა, დასტურ

შევძლებ, ჩემს სტუმრებს დავაცდენინო, რომ ჩემს მასუდსა და მოჰამად-თაყის იცნობდნენ. არ არის გამორიცხული, მეგობრები ან ამხანაგები ყოფილიყვნენ. თუ ერთ კლასში ან ერთ მერხთან არ ისხდნენ, რევოლუციის ბობოქარ დღეებში მაინც გაიცნობდნენ ერთმანეთს, არა?..“

არა. დუმდნენ და სახეს არიდებდნენ, თითქოს იქ ყოფნისა რცხვენიათო.

ჭაბუკმა, რომელიც პოლკოვნიკმა მოჰამად-თაყის მიაგვანა, ან უნდოდა, რომ ჰგვანებოდა, ველარ გაძლო, ადგა, პოლკოვნიკის დიდი ფოტოს წინ გაჩერდა, მოჰამად-თაყის ფოტოს მიაჩერდა და კარგა ხანს ასეთ პოზაში დარჩა. ქურთუკის კაპიუშონი მხრებზე ეკიდა. მეორე, რომელიც პოლკოვნიკს სახითაც და აღნაგობითაც მასუდს აგონებდა, მისკენ პირით იჯდა, იდაყვები მაგიდაზე დაეწყობოდა, ხელები გადაეჯვარდინებინა და სადღაც იყურებოდა – შესაძლოა, იმ ადგილას, სადაც მაგიდის ძველ წითელ გადასაფარებელს ძაფი გამოსძენდოდა. დუმდა.

„ახალგაზრდობა... ახალგაზრდობა! ახალგაზრდა თითქოს ბუნებით მორცხვად მოავლინა გამჩენმა, მაგრამ მასში უცნაური ძალა და ნიჭი თვლემს, რომელსაც არნახული სისწრაფით შეუძლია აქციოს იგი ამქვეყნად ყველაზე მოურიდეებელ არსებად. არსებად, რომელიც ისტორიის მანძილზე არც ერთ დანაშაულებრივ ქმედებასა და საქციელს არ დარიდება. იქნებ ამ ნიჭის წყალობითაა, რომ სწორედ მისი წილხვედრია ყველაზე შემადრწუნებელი დანაშაულები ისტორიაში... ახალგაზრდამ არაერთგზის დაამტკიცა, რომ შეუძლია, ამ დაკვეთას წარმატებით გაართვას თავი. აი, მესმის საქმე და ხელობა! აბა, ჩვენ?.. ჩვენ ხომ, ნებსით თუ უნებლიეთ, ცომის გუნდებს პირდაპირ გადავუძახებთ ხოლმე ქუჩაში, გულქვა დალალების საკბილოდ ვაქცევთ და ველოდებით – ის გუნდა, ხელიდან რომ აგვაცალეს, მახვილივით უკან როდის მოგვიბრუნდება...“

– ჩემი მოჰამად-თაყი სამედიცინოს პირველ კურსზე იყო...

– ვიცნობდი... ვიცნობდი მას...

ეს სიტყვები იქნებ არც თქმულა და არც გაუგონია, მაგრამ პოლკოვნიკმა იგრძნო, ყმანვილის გამომეტყველებიდან თუ პოზი-დან დაასკვნა, რომ ბიჭი მის ვაჟიშვილს იცნობდა. სურდა, თავი დაერწმუნებინა, რომ ყმანვილი მოჰამად-თაყის იცნობდა. თუმცა მოჰამად-თაყის ნაცნობობა-უცნობობა მოსახდენს, ალბათ, ვერ შეცვლიდა. რა მოხდებოდა, გაურკვეველი იყო. ეს აზრი საკმარისი აღმოჩნდა, რათა პოლკოვნიკს წამიერად – სულ ერთი წამით – ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა და გამოეღწია ფიქრთა მორე-ვიდან, რომელშიც თავბრუდახვეული, ერთ ადგილას ტრიალებდა.

*„მოჰამად-თაყივით მოუთმენელია.“*

ამიტომაც მოჰამად-თაყის ფოტოსთან მეტხანს ველარ გაძლო. პოლკოვნიკს არც უფიქრია, რომ ის ყმანვილი ფარვანეს ფოტოსთან შეყონდებოდა. არა, დაჯდა და მაჯის საათის ციფერბლატზე დაიხე-და, მერე ამხანაგს შეხედა. პოლკოვნიკს მოეჩვენა, თითქოს ყმანვილი ვერ ისვენებდა, დრო რომ გადიოდა; დრო გადიოდა და ჯერაც არა-ფერი იყო გარკვეული. თუკი მათ დროის გასვლა აწუხებდათ, პოლ-კოვნიკს გაურკვეველობა აღელვებდა, რომელსაც ყოველ წუთს და მათი ქცევის – *„ცოტა არ იყოს, გამოუცდელი ქცევის“* – თითოეულ წვრილმანში გრძნობდა. ლელავდა, რადგან არ იცოდა, სად მოხვედ-ბოდა დარტყმა. მხოლოდ გრძნობდა, რომ დარტყმას უნდა დალოდე-ბოდა და დაელოდა კიდევ. ერთი რამ დანამდვილებით იცოდა: *„ამ ყმანვილებს, ამ გამლღვარ და მწველ ნაფლეთებს, რომლებიც, ვგო-ნებ, მზისკენ მიმავალნი უკან – დედამინაზე გამოპრუნდნენ“*, მის კარზე ჭრილობაზე მალამოს წასაცხებად არ დაუკაკუნებიათ. მაშა-სადამე, უნდა დალოდებოდა და დაელოდა კიდევ, სანამ, ბოლოს და ბოლოს, ერთ-ერთმა – *„არ ვიცი, რომელმა“* – თქვა:

– ცოტა ხნით პროკურატურაში წამოგყვებით.

– პროკურატურაში?

– იქ გეტყვიან, პოლკოვნიკო.

*„არა, არ უნდა გავიკვიროვო. უხეშობა არ ივარგებს. მე... მე... კარგა ხანია, ვცდილობ, მოთმინებიდან არ გამოვიდე და, რადაც არ უნდა დამიჯდეს, სიმშვიდე შევინარჩუნო. თანაც თავს ძალას*

ვატან, რომ არც ერთი ფაქტის ნახვამ და არანაირი ამბის გაგონებამ არ გამაკვირვოს... არ უნდა გავიკვიროვო. რატომ? კაცს რაიმე ფაქტი მაშინ აკვირვებს, თუ ეს მისთვის სიახლეა. მე საკუთარი თავი უნდა დავაჯერო, რომ ჩემი განცდები წარსულის რალაც სიტუაციას თუ პრობლემას უკავშირდება. იმას, რაც აწმყოს არ ეკუთვნის. იქნებ ჩემს სამსახურს შაჰის არმიასი, იქნებ ქუჩაქის ფრონტზე წასვლას... იქნებ ჩემი ცოლის ამბავს? ან... ფარვანეს? არ ვიცი. ათასი რამ შეიძლება იყოს... მაგრამ გული მიშფოთავს და ამას ველარაფერს ვუხერხებ. ჯანდაბას, იშფოთოს, რა გაენყობა? მე ხომ არ შემოიძლია, ისე ჩავიდე კიბეზე, რომ კარი არ გამოვიკეტო? სხვა გზა არ მაქვს, ასე უნდა მოვიქცე. ვკეტავ. საბედნიეროდ, ქუდი არ დამვიწყებია. თავზე მახურავს. და მაინც, დასარწმუნებლად ხელს ვწევ და თავზე ქუდს კიდევ ერთხელ ვეხები. თავს იმდენად მაინც ვერევი, რომ მესმოდეს: პალტოს საყელო უნდა ავიწიო, რომ წვიმის გაბმული წვეთები საყელოში არ ჩამივიდეს. რასაკვირველია, მახსოვს: თავი ისე უნდა დავიჭირო, ყმანვილები ამირის სარდაფში ყოფნას ვერ მიხვდნენ. კი არაფერი შავდება, მაგრამ შინაგანად ვგრძნობ: ამირის ქცევამ – იმან, რომ წელიწადზე მეტია, თავი სარდაფში გამოიკეტა, შეიძლება ეჭვი დაბადოს და პროვოკაციული ცნობისმოყვარეობა აღძრას – ესეც კი კმარა დასაეჭვებლად. გონება ხომ ნანახით განსჯის; არ არსებობს თუნდაც ერთი გონივრული არგუმენტი ყოფილი პატიმრის – ორმოციც რომ არ შესრულებია – გასამართლებლად, რომელმაც თავი მამისეული სახლის სარდაფში გამოიკეტა, შეიძლება ითქვას, დაიტუსალა და ყველანაირად გაურბის უახლოეს ადამიანებთან ურთიერთობას. ბუნებრივია, ამგვარი საქციელი, თანაც ასეთი ადამიანისგან, კარგს არაფერს აფიქრებინებს კაცს და თანამდებობის პირებს ცნობისმოყვარეობას გაულეიძებს. ამირი ნამდვილად არ არის შემოიღობილი. ასეთი აზრი გონებაში არც უნდა გავივლო. არაერთხელ გამიგონია მისი ხმა და საუბრები დასთან – ფარვანესთან. ჩვენს ფარვანეს ბევრი ლაპარაკი სჩვევია და თავისი დური გრძნობების გამოსახატავად ერთსა და იმავეს იმეორებს. რახან ასაკით ამირ-

თან უფრო ახლოსაა, როგორც კი დროს იხელთებს, აკითხავს, სარდაფის კიბის თავში ჯდება და იწყებს დარდისგან დაცლას“.

– ძამიკო, რას გამოკეტილხარ? განა რა მოხდა, რა ქვეყანა დაიქცა? მარტო შენ ხომ არ დაგმართნია ეს ამბავი, უამრავი ადამიანი დარჩა შენსავით უმუშევარი. ასე როგორ შეიძლება: კაცი ყველას გაერიდოს და საკუთარი თავი ამოიჭამოს? რა მოხდა, ამირიკო, ჩემო საყვარელო ძმაო? ცოტა მამაზეც იფიქრე. მოჰამად-თაყის ამბის მერე მამა მოტყდა. შენ მაინც ნულარ მოუღებ ბოლოს. ჩემზე უკეთ მოგეხსენება, რამდენი ტკივილი შეხვდა მამას ცხოვრებაში! ბოლოს და ბოლოს, უფროსი ძმა ხარ, უფრო მეტად გმართებს ზრუნვა ოჯახზე, ჩვენზე. მე ქალი ვარ, სხვაზე ვარ დამოკიდებული. ხომ იცი, რომ ბატონი ყორბანის ცოლი ვარ. ქმარმა აქ მოსვლა ამიკრძალა. ჩემი ბიჭი უკვე რალაც-რალაცებს ხვდება, მამამისი დაკითხვას უწყობს ხოლმე. ჩემი გოგოც. პატარას ხომ სულ დაბმული ვყავარ. ყორბანი ჰაჯაჯი<sup>3</sup> ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებს და შიშობს. ამიტომაც დაიჭერს ხოლმე ჩემს ბიჭს და დაკითხვას უწყობს. პატარაც ენას კბილს ვერ აჭერს და ფქვავს. ბავშვია, რა ჭკუა მოეკითხება? ჩემი გული კი თქვენთან არის. ერთიანად ცეცხლი მეკიდება. იძულებული ვარ, ძამიკო, იძულებული, ქმარს შევეწყო, მორჩილი ვიყო... იქნებ... იქნებ ველარც შევძლო, ველარც შევძლო თქვენი მონახულება... რადგან... რადგან ყორბანი მეუბნება, რომ ჩემი აქ სიარული მის კარიერას ვნებს, შეიძლება, პრობლემები შეექმნას. ჰაჯაჯი თავის სამსახურს და მდგომარეობას ძალიან უფროთხილდება. თქვენ – ჩვენს ოჯახს – ცუდი იარლიყი გაქვთ მიწებებული, იარლიყი, ძამიკო, – ცუდი სახელი! სახელის გატეხას თავის გატეხა ჯობიაო, იტყვიან. გლოვა და პანაშვიდი არ ყოფილა, რომ ქალებმა თქვენზე არ იჭორაონ. ზოგიერთს ისეთი მწარე ენა აქვს, ძამიკო!

<sup>3</sup> სისასტიკით ცნობილი არაბის – ალ-ჰაჯაჯი იბნ იუსეფის (გარდ. 741 წ.) ალუზიაა, რომელიც ომაელთა სახალიფოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი გამგებელი, შიიტებისა და ირანელების დაუძინებელი მტერი იყო. მან 120 000-ზე მეტი უდანაშაულო ადამიანი დახოცა. ამ პერსონაჟის სახელი – ყორბანი – ზვარაკს, მსხვერპლს ნიშნავს.